ყველანი გვიან ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ., წ. ორ. და მაჯარ. დეპ. სამ. ბაკის ორგანო

№ 287 ხუთშაბათი, 13 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 287

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საკუთისთვის მოდლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლეკტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

იტალიის პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა რუსეთ-იტალიის ხელშეკრულება.

ამერიკის სენატორები მოითხოვენ ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან.

იაპონიაში მოხდა შეტაკება გაფიცულ ფელეტონისტებსა და პოლიციას შორის; დასჭრეს და მოაკლეს რამდენიმე პოლიციელი.

გაზეთ „ბაკოს მუშა“-ს ათასი ნომრის გამოშვებამ გამოიწვია მილოცვა კომინტერნიდან.

სპარსეთში დიდი მოთხოვნილებაა ბაკოს ნავთის.

Коллекция Ист.-Революц. Грузии

ᲤᲐᲠᲓᲘᲝ-ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

(„ზაკოხა“-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობის „ფართე პროგრამა“

გრძელდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაშლა.

მთავრობა „მუშაობს“: მთავრობის „პროგრამის“ მიხედვით, მოხდება რვა საათის გაუქმების დაკანონება, უმუშევართა დახმარების მიცემის შეწყვეტა და ქვეყნის „გაწმენდა“ „მავნე“ ელემენტებისგან.

გერმანიის დასახმარებლად: გერმანიის დამხმარე კომიტეტების ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი უხვად ეხმარება გერმანიის მუშებს ფულით და სურსათ-სანოვაგით.

რეაქციის ბანაკში: ნაციონალისტური პრესა მოითხოვს რეიხსტაგის ახალი არჩევნების დანიშვნას.

მთავრობა „მუშაობს“

მარქსის მთავრობის ღონისძიებანი

ბერლინი, 11 დეკემბერი. მარქსის მთავრობა ხელმძღვანელობს ღონისძიებებს მოხელეთა შეგიერების, შრომის ხელფასის შეგიერების, სამუშაო დღის გადიდების და საბინაო გადასახადის გადიდების შესახებ.

სოციალ-დემოკრატების წინადადების თანახმად, რეიხსტაგის მიერ დადასტურებულია 15 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მთავრობის ღონისძიებებს; ეს ღონისძიებები გატარებული იქნებიან ცვლილებებში თანახმად კანონისა მთავრობის [illegible] ერთობლივ [illegible] ბურჟუაზიული პრესა ხაზს უსვამს იმას, რომ ამ კომისიას არ აქვს გადაწყვეტილების მნიშვნელობა.

პირველ რიგში მთავრობას განზრახვა აქვს გადავიდეს გადასახადების გაანგარიშებაზე ოქროს კურსის მიხედვით, იმ მიზნით, რომ გამტკიცებულ იქნეს მთავრობის პოზიცია მუშებისა და მოხელეების მიმართ.

სოციალ-დემოკრატია იშლება

ცეკას წინააღმდეგ.

ბერლინი, 11 დეკემბ. მთავრობის უფლებების გაფართოების კანონისათვის კენჭის ყრის დროს მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა აფეთუზარმა, ბრანტმა, კრეისპინმა, დიტმანმა, დეგემ, როზენფელდმა და ზონდერმა თავი შეიკავეს.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატმა როზენფელდმა „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „ოპოზიციის ტაქტიკას იწონიან პარტიის ფართე მასები. მთელი რიგი პროგინციალურ ორგანიზაციებისა გადავიდა ოპოზიციის მხარეზე. პარტიის ცეკამ, მიუხედავად მუქარისა, ვერ მიიღო ვერავითარი ზომები გამომავალ მემარცხენე გაზეთის წინააღმდეგ.

— პროვინციალური სოციალ-დემოკრატიული პრესა აწარმოებს კამპანიას პარტიის ცეკას და რეიხსტაგის ფრაქციის წინააღმდეგ. პრესა აღნიშნავს, რომ პარტიის ხელმძღვანელობა გაბედავს პროლეტარიატის ინტერესები და ქედი მოიხარეს ხაზინდრო დიქტატურის წინაშე.

ხელისუფლების ორგანიზაციის თანამდებობის პირთა კრება პროტესტს აცხადებს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის წინააღმდეგ, რადგანაც უკანასკნელმა ხმა მისცა მთავრობის უფლებების გაფართოებას.

„ჰამბურგერ ეხო“-ს სიტყვით, პარტიის ხელმძღვანელობა და მასები სხვადასხვა ენით ლაპარაკობენ.

ბერლინში მეფოხტეების ხოციალ-დემოკრატიული კავშირის კონფერენციამ ნდობა გამოუცხადა დეპუტატ გოფმანს, რომელიც რეიხსტაგში გამოვიდა მთავრობის უფლებებისა გაფართოვების წინააღმდეგ. „ფორვერტ“-ის მიუწოდებს ეფოსტეების შეწყვეტონ შემდეგი დისკუსია.

გერმანიის დასახმარებლად

გერმანიის მუშათა დახმარების ორგანიზაციების ყრილობა

[illegible] 11 დეკემბერი. გერმანიის [illegible] დამხმარების ორგანიზაციების [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
3. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.
4. საქართველოს მეფრნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
5. საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
7. მოხსენება მაზრების რაიონებად დაყოფის და სამაზრო და ხალხო აპარატების განმარტიგების შესახებ.
8. მოხსენება ქართული დაშვრის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
10. ს. ს. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი პ. სახაროვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა

პარასკევს, 14 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დაისვას საკითხი:

„პარტიის ახალი პროგრამის შესახებ“

მასალად გამოიყენონ: ამხ. ზინოვიევის წერილები, ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებები და პიტროგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის რეზოლიუციები, რომლებსაც მიიღებენ რაიკომებში.

ს. კ. პ. ტფ. კომიტეტი წინადადებას იძლევა ყოველმხრივ იქნას განხილული აღნიშნული მასალები და ახალი კონკრეტიული წინადადებანი გადაეცეს სათანადო რაიკომს.

ტფ. კომიტეტის მდივანი **რუბენი**

მდგომარეობა საფრანგეთში

საფრანგეთის პოლიციამ დაატუსალა ხადრანგეთის ახალგაზრდა კომკავშირის წარმომადგენელი კომინტერნში ამხ. დორიო.

პარიზში გამართა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15,000 კაცმა.

კომპარტიის ორგანომ „იუმანიტე“-მ გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს სამხედრო შეიარაღებას.

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ.

პარიზი. 11 დეკ. **პარიზში დაპატიმრებულია საფრანგეთის ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელი ახალგაზრდათა კომინტერნში დორიო,** რომელსაც ბრალად ედება აგიტაცია სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის.

მუშა მოსამსახურეთა მიტინგი.

პარიზი. 11 დეკ. **პარიზში შეიდგა საზოგადოებრივ დაწესებულებათა 15,000 მუშა-მოსამსახურის მიტინგი.** მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მუშები მზად არიან ყოველგვარ გამოსვლისათვის ხელფასის გადიდების მიზნით. პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიტინგი დამთავრდა გრანდიოზული მანიფესტაციით.

სამხედრო სამზადისი.

პარიზი. 11 დეკ. „ჰუმანიტე“-ს ცნობით, საზღვაო სამინისტრომ განკარგულება მისცა ბრესტის ნავთსადგურის სარდლობას, რათა მომავალ წლის აპრილისათვის მომზადებულ იქნეს ყველა სამხედრო გემები. გაზეთი სვამს საკითხს: **ამ სამხედრო სამზადისის მიზანი ჩინეთის საზღვაო ექსპედიციის გაგზავნაა,** თუ იგი სწარმოებს ინგლის-საფრანგეთის ერთიერთ დამოკიდებულების გაუარესების მოლოდინში.

აჯანყება მექსიკაში

აჯანყებულთა გამარჯვება

ბერლინი. 12 დეკემბ. მექსიკიდან უკანასკნელად მიღებული ცნობით, მდგომარეობა სერიოზულია. **მთელ რესპუბლიკაში შემოღებულია საალერო წესები. აჯანყებულებმა ორი დღის ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ქალაქი ხალაპა ვერა-კრუცის შტატში.**

ბერლინი. 11 დეკემბ. ელ-პასოდან იტყობინებიან, რომ აჯანყებულებმა ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი კანიკასის მახლობლად, რითაც შესწყდა დამოკიდებულება სატახტო ქალაქთან.

პოლონეთის ამგები

რა ხდება ხეიმში.

ვარშავა. 11 დეკემბერი. სეიმის სხდომაზე კომუნისტმა ლანუციასკიმ გაალაშქრა მთავრობის ახალ განცხადების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც მთავრობას სურს გადასახადების მთელი სიმძიმე გადაიტანოს ღარიბ კლასებზე; ლანცუციასკიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ პოლონეთის ვალიუტის გაჯანსაღებას მოახერხებს მხოლოდ მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც არ შეჩერდება იმის წინაშე, რომ კონფისკაცია უყოს კერძო კაპიტალს ხაზინის სასარგებლოთ.

საფეიქრო მრეწველების კრიზისის შესახებ მოხსენებით გამოვიდენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრები შჩერკოვსკი და დეპუტატი ვახოვსკი, რომელთაც აღნიშნეს ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც არიან ჩავარდნილი ფეიქრები; მომხსენებლების სიტყვებით, ფეიქრებს მუდამ ემუქრებიან ლოკაუტით და მუშათა რიცხვის შემცირებით. მრეწველები ყოველ მხრივ დევნიან იმ მუშებს, რომელნიც ბოიკოტს უცხადებენ მათ და შეიკვეთ ისინი შავ სიებში.

ორივე მომხსენებელმა სურვილი გამოსთქვეს, რომ საჩქაროთ იქნეს დადებული სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან. მომხსენებლების შემდეგ გამოვიდა ლოძის ვაჭრობის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთის ბაზრების გარეშე ლოძის მრეწველობას არ შეუძლია არსებობა.

სხვადასხვა

იაპონია.

ფეიერთა გაფიცვა.

ტოკიო. 11 დეკ. **უკვე ორი კვირა გრძელდებოდა ოსაკაში ფეიერთა გაფიცვა, რომელიც პოლიციასთან სისხლისმღვრელი შეტაკებით დამთავრდა.**

გაფიცულები სცდილობდენ შრომის საყოველთაო ფიდერაციის დაპატიმრებულ წევრების განთავისუფლებას და ადრედვე ფაბრიკის მეპატრონის ვილლას დარბევას. მოკლულია რამდენიმე პოლიციელი, დაჭრილთა რიცხვი დიდია.

პორტუგალია

არეულობა დისაბონაში.

პარიზი. 12 ნოემ. ექსტრემისტებმა მოახდინეს ორი თავდასხმა პრეზიდენტის სასახლეზე ლისაბონში. თავდასხმა მოიგერია გვარდიამ. ისროლეს 2 ყუმბარა. აჯანყებულებს განზრახვა ჰქონდათ დაემყარებიათ ჯერ ჯერობით სამხედრო დიქტატურა, შემდეგ კი ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება.

პროფინტერნში

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროში.

მოსკოვი. 11 დეკ. პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციის კონგრესის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში გამოსთქვამს რწმენას, რომ შრომის უნიტარული კონფედერაცია კომპარტიასთან ერთად შესძლებს თავის გავლენის განმტკიცებას საფრანგეთის მუშათა ფართო მასსებში.

იტალიის შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფაშისტების მიერ პროფკავშირების დარბევის შემდეგ იქ ლეგალურად მუშაობენ. მხოლოდ ფაშისტური პროფკავშირები და ავრედვე რეფორმისტული შრომის საყოველთაო კონფედერაცია. რეფოლიუციონურ-სინდიკალისტური ორგანიზაცია „უნიონე სინდიკალე“, რომელშიაც ითვლება 150.000 წევრი, განადგურებულია. მაგრამ მრავალ დიდ ცენტრიაში, როგორც მაგ. რომსა, ტრისტომი და სხვა ქალაქებში კომუნისტი—მაქსიმალისტები შრომის ბირჟებზე სარგებლობენ დიდი გავლენით. იტალიაში ძალიან გაიზარდა რევოლიუციონური მოძრაობა. ოპოზიციური კავშირების ისეთი ჩამორჩენილი წევრებიც კი, როგორიც არიან სასოფლო-სეურნეობის მუშები, გამოსთქვამენ თავის უკმაყოფილებას ფაშისტებისადმი.

ჩვენი კავშირის რესპუბლიკებში

თურქეთი

(პრესის მიმოხილვა)

საბჭოთა აპარატის დაახლოებაა მასებთან

ამ ლოზუნგს ანდომებს „ტურკესტანსკაია პრავდა“ გაზეთის თითქმის მეოთხედს. და უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ტურქესტანის რესპუბლიკაში გაცილებით უფრო მწვავედ სდგას, ვინემ ჩვენში. საკმაო არის ამაზე მიუთითოთ ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე, ეს ფაქტი ეკუთვნის „ტურკესტანსკაია პრავდა“-ს ერთ-ერთ ნომერს. ეს ფაქტი ასეთია: ... ...

ნაწილდება ა | კ. რესპუბლიკების შორის თანაბრად, ეს უკანასკნელი თანხა იქნება უზრუნველყოფილი საქართვ. სახალხო ბანკის და აზერბეიჯანის და სომხეთის სახელმწიფო ბანკების საშუალებებით. ბანკის ძირითადი თანხა შემდეგნაირ თანხებად ე. წოდ. გლეხთა პაიების ემოშვებით (ღირებულებით თითო პაი—1 ჩერ.), განუსაზღვრელ რაოდენობით. ძირადადი თანხა გადიდებულ იქნება აგრეთვე პაიების დამატებითი გამოცემით, ბანკის საზოგადო კრების დადგენილებით.

ამ ჟამად ბანკის წესდების პროექტი გადაეცა საგანგებო კომისიას, რომელიც შესდგება სხვადასხვა უწყებების და ა. კ. სახ. ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენლებისაგან, ამხ. იზმაილოვის თავმჯდომარეობით.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ.

ა. კ. სავაჭრო სამმართველომ მოიწონა და წარადგინა დასამტკიცებლად სავაჭრო განყოფილების დებულების პროექტი. ამ განყოფილების მიზანს შეადგენს—დამზადება და წარმოება სავაჭრო სამმართველოს ყველა კომერციულ ოპერაციების. ის ხელმძღვანელობს სამმართველოს ყველა კომერციულ ოპერაციების. ის ხელმძღვანელობს სამმართველოს, როგორც ზოგადი დირექტივებით, ისე უშუამდგომლო განკარგულებებით საგარეო ვაჭრობის სფეროში.

განყოფილების მოვალეობას შეადგენს: ნედლეულის დამზადება ამერ-კავკასიაში და მახლობელ ქვეყნებში; ფაქტიური შესრულება საექსპორტო საქონლის დამზადების ოპერაციებისა, საქონლის შენახვა, დაზღვევა და გადაზიდვა; გარეშე და შინაური ბაზრების სავაჭრო კონიუნქტურის და საექსპორტო საქონლის პირობების გამოკვლევა; საექსპორტო საქონლის ფაქტიური რეალიზაცია გარეშე ბაზარზე; შინაგან ბაზრების მოთხოვნილების გამოკვლევა — საიმპორტო საქონლის შემოტანისთვის; ამერ-კავკასიის ადგილობრივი საქონლის რეალიზაცია მახლობელ რესპუბლიკებში და უკანასკნელებიდან შემოტანა ამერ-კავკასიაში; საიმპორტო საქონლის დამზადება გარეშე ბაზარზე და საიმპორტო ოპერაციების ფაქტიური შესრულება; საიმპორტო საქონლის შენახვა, დაზღვევა, გადატანა და რეალიზაცია; საექსპ.—იმპორტო საქონლის კალკულიაცია; საზღვარგარეთ ან შინაგან ბაზრებზე საქონლის ყიდვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, კოოპერატიულ ორგანიზაციებისთვის და კერძო პირებისთვის; იმავე დაწესებულებებთან, ან კერძო პირებთან ხელშეკრულების დადება საერთო ან საკომისიო ვაჭრობისთვის და სხვა. სავაჭრო განყოფილება განიყოფება 10 ქვეგანყოფილებათ, სხვა და სხვა საგნებით ვაჭრობის მიხედვით.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ

2 დეკემბერს ტფ. კომუნალურ ბანკის დარბაზში შესდგა ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრენ ტფ. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს წარმომადგენელი ვ. მესხი, საქ. კოოპერატიული ბანკის თავმჯდომარე გრ. დუმბაძე, და საპატიო სტუმრები—ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენელი, ცენტრალურ საბინაო კავშირის „ცენტროსტროი“-ს წარმომადგენელი და სხვები. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გრ. დუმბაძე, რომელმაც მოკლედ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისთვის საზოგადოდ ბანკს, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ყოველგვარი ვაჭრული დაწყებულება უაღრესად განიცდის ხელმისაწვდომ კრედიტის საჭიროებას. ამის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ვრცელს მოხსენებას აკეთებს საორგანიზაციო კომიტეტის წევრი მ. ბასილია ბანკის ორგანიზაციის და წესდების შესახებ.

შემდეგ, იმავე საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების თანახმად, კრებამ დაადგინა არჩეულ იქნან: ბანკის საბჭოს წევრებად—ა. გეგეჭკორი, ლ. სუხიშვილი, ვ. ივანოვ-კავკაზკი, გ. ყურულაშვილი, თედო ღლონტი და ვაჭარ-მრეწველთაგან ი. ჯაყელი; ბანკის გამგეობის წევრებად რ. დუმბაძე (გამგეობის თავმჯდომარეთ), ვ. მესხი და ი. თურქია; სარევიზიო კომისიის წევრებად—მიხ. ბასილაია, ა. აღლაძე და მ. ქვარაცხელია.

უკანასკნელი საკითხი, დასმული დღის წესრიგში, იყო საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება—კომუნალურ ბანკის გამგეობის მომავალი მოქმედების შესახებ:

თანახმად ბანკის წესდებისა, კომუნალურ ბანკს აქვს შერეული ხასიათი როგორც იპოტეკის, ისე კომერციულ ბანკისა. ბანკის თანხა შესდგება აქციებიდან, რომლებიც უნდა შეიძინონ: აქციების ერთი ნახევარი—ტფ. მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭომ, ხოლო მეორე ნახევარი უნდა იქნას განაწილებული სახელმწიფო ორგანიზაციათა, კერძო პირთა და დაწესებულებათა შორის. ამგვარად პირველი ამოცანა, რომელიც დგას ბანკის გამგეობის წინაშე, არის საკითხი აქციების რეალიზაციის შესახებ. გარდა ამისა საჭიროა ბანკმა მოიხმაროს ტ მიიზდოს კლიენტურა,—მიმდინარე ანგარიშების სახით;—რომელიც მისცემს ბანკს დამატებით თანხას და გააძლიერებს მის ოპერაციებს.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა პირველ რიგში ბანკმა დაიწყოს ის ოპერაციები, რომელიც შეეფერება კომერციულ ბანკებს (სახელდობრ თამასუქების გაზაღება, სპეციალური ანგარიშების გახსნა, სესხის გაცემა და სხ.), ე. ი. ისეთი ოპერაციები, რომლებსაც აქვთ ნოკლევადიანი ხასიათი. ამ ოპერაციების საწარმოებლად საჭიროა გადაიდოს ბანკის ძირითადი თანხის 70 პროცენტი. ვინაიდან ამგვარი ოპერაციები საერთოდ სარგებლიანია, გამგეობას შემდეგში მიეცემა შესაძლებლობა გახსნას კრედიტი კომუნალურ მეურნეობის, აღმშენებლობის და სხვა საჭიროებისათვის, რისთვისაც გამგეობას მიზნად აქვს მოიხმაროს დანარჩენი თანხა—30 პროცენტი.

კრებამ სავსებით გაიზიარა მოხსენების თეზისები და დაადგინა:—

ახლად არჩეულმა გამგეობამ მომავალში იხელმძღვანელოს ამ თეზისებით შემდეგ დამატებით, რომელიც შემოტანილია მუშათა და გლეხთა საბჭოს სახელით ვ. მესხის მიერ; გამგეობამ ამ თავითვე მიაქციოს უფრაღი ყურადღება და ყოველგვარად შეუწყოს ხელი როგორც საცხოვრებელ ბინების, აგრეთვე კომუნალურ მეურნეობის გაფართოვება-განვითარების საქმეს, რისთვისაც ამ საქმისთვის განსაზღვრული ძირითადი თანხის 30 პროც. მომავალში შეძლებისდაგვარად თანდათანობით გაადიდოს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲓᲝᲛᲐ.

რეზოლიუციების მიღება და ცენტრალურ მიუროს არჩევა.

(დასასრული)

ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

მოისმინა რა ინჟ. ტერ-ასატუროვის მოხსენება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ტფილისის მთავარ რკინის გზებთან არსებულ ბიუროს მუშაობის შესახებ, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლების ცხოვრებაში გატარება, ყრილობა სასარგებლოთ სცნობს მის მუშაობას შრომის ნაყოფიერების ზრდისა და რეგონტის ღირებულების შემცირებისათვის და უსურვებს მას შემდეგ განვითარებას საბჭოთა საქართველოს მეცნიერულ - ტეხნიკურ ძალებთან სრულ კონტაქტში.

რეზოლიუცია მრეწველობის შესახებ.

1. ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სრულიად საქართველოს 1 ყრილობა, რომელმაც მოისმინა მოხსენებები საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ძირითად დარგების მდგომარეობის შესახებ მთელი სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით, აღიარებს, რომ სახელმწიფო მრეწველობა სასოფლო მეურნეობასთან ერთად წარმოადგენს ძირითად ბაზის რესპუბლიკისათვის და მან უნდა ითამაშოს ისტორიული როლი ქალაქისა და სოფლის ეკონომიური კავშირის განმტკიცებაში—გეგმიანი მეურნეობის საფუძველზე, ეკონომიური რეჟიმის შექმნისათვის.

2. ყრილობა აღიარებს, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლით მრეწველობას დაეტყო დიდი გაცხოველებული მუშაობა და პროდუქციის საგრძნობი გადიდება, თუმცა-და უკანასკნელი კიდევ ვერ აღწევს მშვიდობიანობის დროინდელ ნორმას..

3. საჭიროა ყოველმხრივი მომჭირნეობა, მეურნეობის ცოდნა, წარმოების გაიაფება, საჭიროა ბაზარს და უმთავრესად სოფელს მიეწოდოს რაც შეიძლება უფრო იაფი და სოფლის მოთხოვნილებასთან შეფარდებული საქონელი.

საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის მოგვარება და მრეწველობისათვის გადასახადის სიმძიმის შემსუბუქება.

4. ყრილობა აღიარებს, რომ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების დაჩქარების აღდგენის მიზნით საჭიროა სახელმწიფოს ყურადღება და რესურსები უმთავრესად მიმართული იქნეს მეურნეობის მთავარ დარგების გაუმჯობესებისაკენ, ესე იგი შემცირებული უნდა იქნეს მეორეხარისხოვან დარგების ხარჯები.

5. რადგანაც სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში მახლობელ წლებში მაინც საჭირო იქნება განსაზღვრულ შინაურ რესურსებზე დამყარება,—ყრილობა აღიარებს, რომ საჭიროა მათი უფრო მიზანშეწონილით და პროდუქტიულათ დახარჯვა.

6. ითვალისწინებს რა დიდ მოშლას მეურნეობის ძირითად დარგებში, ყრილობას აუცილებლათ მიაჩნია, რომ სახელმწიფო რეგურიალურად და თავის დროზე აძლევდეს დახმარებას მრეწველობის უკანასკნელის აღსადგენათ.

7. რჩება რა მუდამ თავის სადარაჯოზე მრეწველობის და ტეხნიკის დასაცავად, საქართველოს საინჟინერო — ტეხნიკური ძალები, რომელთაც აქვთ თავისი ყველას მიერ აღიარებული დამსახურება ქვეყნის წინაშე, აღიარებენ, რომ მათი პირველი და უმთავრესი ამოცანა იყო და ეხლაც არის ქვეყნის დანგრეული მეურნეობის აღდგენა, რომლისკენაც მიმართული უნდა იყოს მთელი მათი ყურადღება, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება. ყრილობა აღიარებს, რომ ინჟენერების და ტეხნიკოსების მუშაობა იქნება მით უფრო აქტიური და ნაყოფიერი, რამდენადაც უფრო შეიგნებს ყველა ტეხნიკის როლს და რამდენადაც უფრო აქტიური როლი მიეცემა მას ქვეყნის სამრეწველო ცხოვრებაში.

ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ არჩეულ იქნა სამეცნიერო—ტეხნიკურ ძალთა ცენტ. ბიუროთ. ახალ ბიუროსში შედიან ამხ. ამხ. ტიმოკოვი (კომუნისტი), იუზბაშევი (კომუნისტი), ატაევი, ბერიშვილი და წულუკიძე. კანდიდატებად: გაბოვი, მატვეევი და კორინთელი.

საინჟინერო ტეხნ. ძალების გაერთიანებათა სრ. რუსეთის თათბირზე, რომელიც მოსკოვში იქნება გამართული, საქარ. პროფსაბჭოსთან არსებულ სამ-სატ. ძალთა ბიუროს მიერ გაგზავნილ იქნა ამხ. ატაევი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

5. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ

ᲐᲑᲝᲜᲔᲜᲢᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ.

საანგარიშო პერიოდის პირველ თვეში—იანვარში აბონენტთა რიცხვი 5 ათასს უდრიდა, თებერვალში ხუთას ორმოცით მოიმატა, მარტში—5.660 მიადწია, აპრილში მარტთან შედარებით აბონენტთა რიცხვი ორასით გადიდდა, მაისში აბონენტთა რაოდენობა 5,947 უდრის, ივნისში მაისთან შედარებით 149-ით მცირდება, ივლისში აბონენტთა რიცხვი 5,849 უდრის, აგვისტოში ოდნავ დიდდება ივლისთან შედარებით, ხოლო სექტემბერში 5,961 აღწევს.

როგორც ზემო მოყვანილ ციფრიდან სჩანს, საანგარიშო პერიოდში აბონენტთა რიცხვი ყოველთვიურად მატულობს.

იანვართან შედარებით შემდეგ თვეებში აბონენტთა რიცხვი საშუალოდ 16,1 პროცენტით გადიდებულა.

ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ.

საანგარიშო პერიოდის პირველ თვეში ელექტრონის გაყიდული ენერგია უდრიდა 154.517 კილოვატ-საათს, თებერვალში 134.139 კილოვატ-საათს, ე. ი. იანვართან შედარებით გაყიდულ ენერგიის რაოდენობამ 15,5 პროცენტით იკლო, მარტში გაყიდული ენერგია უდრის 136 367 კილ.-საათს იანვართან შედარებით 11,7 პროც. არის დაკლებული, აპრილში –140.047—ე. ი. იანვართან შედარებით გაყიდული ენერგია 9,4 პროცენტით შემცირებულა. მაისში—128 ათასამდე ადის (იანვ. შედარ. დაკლებულია 17,2 პროც.) ივნ.—119 607 კილ. საათს. (იანვართან შედარებით შემცირებულია 22,6 პროცენტ.,)—ივლისში—117,580 კილოვატ. საათს. (შემცირებულა 27,8 პროც. აგვისტოში 109.738 (შემცირებულა 29 პროცენტით)—სექტემბ.—138.482 კილოვ. საათს. (იანვართან შედარებით შემცირებულია 10,4 პროცენტით).

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ.

ადმინისტრატიული პერსონალი 1 ოქტომბრისთვის უდრიდა 14, კანტორის მოსამსახურე—36, ტეხნიკური პერსონალი—29, კვალიფიციური—32, შეგირდები—19, პრაქტიკანტები—9,—სულ ელ-სადგურების და სამმართველოს შტატი უდრის 339 კაცს.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲐᲚᲘ.

საანგარიშო პერიოდის პირველ თვეში—იანვარში ელექტ. სადგურების შემოსავალი 10,105 მანეთს უდრის, გასავალი 13,800 მანეთს, შტატის შესაბამად დახარჯულა 7,687 მ.

აქედან აშკარაა, რომ იანვრის გასავალი შემოსავალს 3,035 მანეთით სჭარბობს, თებერვალში შემოსავალი უდრის 22,741 მანეთს, ხოლო გასავალი 17,416 მანეთს, შტატის შესაბამად დახარჯულა 10,543 მ. მარტში შემოსავალი 23,105 მანეთს უდრის, გასავალი კი—15.886 მან., შტატზე დახარჯულია—9,612 მან., აპრილში შემოსავალი უდრის—14.732 მანეთს, ხოლო გასავალი—44.238 მან., შტატის შესაბამად—727 მან., მაისში შემოსულა 13,210 მანეთი, დახარჯულა 12.482 მანეთი, შტატის შესაბამად დასჭირვებია 7 ათასი მანეთი, ივნისში შემოსავალი უდრის—25.791 მან., ხოლო გასავალი—13.580 მანეთს, შტატის შესაბამად—8.748 მან. ივლისის შემოსავალი—19.679 მანეთი, ხოლო გასავალი—15.813 მან., შტატის შესაბამი ხარჯები—10.307 მან., აგვისტოში შემოსულა—14.833 მან. დახარჯულა—18.141 მან., მათ შორის შტატის შესაბამად—11.801 მანეთი, სექტემბერში შემოსავალი უდრის—20.449 მან., გასავალი—9.612 მან., შტატზეა დახარჯული—6.502 მან.

სულ საანგარიშო პერიოდში შემოსავალი უდრის—154.712 მანეთი 66 კაპ., ხოლო გასავალი—130.470 მან. 68 კაპ., აქედან შტატის შესაბამად არის დახარჯული სულ—79.930 მან. 96 კაპ. წმინდა შემოსავალი სადგურებიდან საანგარიშო პერიოდში უდრის—24.242 მან.

აღნიშნულ პერიოდში ელექტრონის სადგურის სამართველოს მიერ შეძენილ იქნა: ერთი „დიზელი“ 150 ცხ, ძალის ძალოვნებისა, ერთი მამძრავებელი „ატლასი“—120 ცხ. ძ. ძალოვნებისა: ელექტრ. სადგურების მანქანების ნაწილები 14 ათასი ოქროს მანეთად, 500 ბოძი—574 მან, 30 კაპ. ღირებულების, ერთი სახარატო და ერთიც გასაჩარხავი დაზგა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖ—ᲒᲐ „ᲩᲔᲛᲝ“-Ს ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ

10 დეკემბერს, ნაშუალამევის პირველ საათზე გაძარცვეს ტფილისის აღმასკომის სალარო.

საქმის ვითარება ასეთია: ტფილისის აღმასკომის მეეზოვეს შეუმჩნევია ვილაც უცნობი, რომელიც ალაყაფის დაკეტილ კარებთან მდგარა. უცნობს უთხოვია მეეზოვესთვის გაეღო მისთვის ალაყაფის კარები და გამოეშვა. მეეზოვეს უცნობი საეჭვო კაცად უცქინია, დაჰპირებია გასაღების მოტანას და კარების გაღებას, ნამდვილად კი ტელეფონით შეუტყობინებია სისხლის სამართლის მილიციისთვის. ვიდრე მეეზოვე ყოველივე ამას მოიმოქმედებდა, უცნობს მოესწრო დამალვა.

დათვალიერებამ გამოარკვია, რომ ტფილისის აღმასკომის შენობიდან ველიანმნოვის ქუჩაზე გამომავალი კარები ღია ყოფილა.

სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა, რომელთაც ბოროტმოქმედების ადგილი დაათვალიერეს, იპოვეს სამი შეკონვა ამ.-კავკასიის ბონების ხუთ-ხუთი მილიარდი თვითეულში, ხვეწი (სტამესკა) და გალაქული ქაღალდი. სალარო გატეხილი აღმოჩნდა; იატაკი ფულით იყო მოფენილი, ძირს დაყრილი ფული ორას ოცდა ათი მილიარდის (250,000,000,000 მან.) რაოდენობის აღმოჩნდა. სალაროში დარჩენილ ფულის დათვლამ აღმოაჩინა, რომ ბოროტმოქმედებს გაუტანიათ ორმოცდაჩვიდმეტი მილიარდი (57,000,000,000 მ.) მანეთი.

მეორე გაძარცვა მოხდა 11 დეკემბერს, ღამის 10 საათზე. გაძარცვეს საზოგადოება „ჩემო“-ს სალარო სასამართლოს ქუჩაზე. წინასწარი ცნობების თანახმად, ბოროტმოქმედებს წაუღიათ კასაში მოთავსებული მთელი ფული, რომლის რაოდენობა უდრის 14 014 სტერლინგს (ჩეკები). ბოროტმოქმედების ნამდვილი ვითარება გამოურკვეველია.

იმავე დღეს, ერთი საათის შემდეგ „ჩემო“-ს გაძარცვის ბოროტმოქმედნითავს დაესხენ გაძარცვის მიზნით ბებუთოვის ქუჩაზე მდებარე სახლს № 22-ს. თავდამსხმელნი შეიარაღებულნი იყვნენ და რევოლვერებს ისროდნენ. სწორმოებს მოახდარ ბოროტმოქმედებათა კვლევა-ძიება.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

აპარატი ჰაერის გასაწმენდათ.

ექიმმა ალბერტ ვოლფმა ბერლინში გამოიგონა აპარატი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ჰაერის გაწმენდა დახურულ ოთახში ძალიან ცოტა დროს დახარჯვით. ჰაერის გაწმენდის პროცესში სრულიად ისპობიან ცუდი სუნი, მტვერი და მავნე მიკრობები; აპარატის საშუალებით, სურვილისამებრ, შეიძლება ტემპერატურის დაკლება ზაფხულში და გათბობა ზამთარში.

ჰაერს თავს უყრიან აპარატში, რომელსაც ამისათვის სპეციალური საჭაჩავები აქვს გაკეთებული, აქედან ჰაერი გადადის გასარეცხ კამერაში, რომელიც წყალით არის სავსე. შემდეგ ჰაერი ეხება ელექტრო-კოლოიდალურ ხსნილს. ამ დროს აპარატში ისპობა ყოველგვარი ცუდი სუნი და ყველა მავნე მიკრობები. ამრიგად გაწმენდილი ჰაერი გადადის გასათბობ ან ტემპერატურამდე, სადაც თბება ან ტემპერატურამდე, რომელიც საჭიროდ მიაჩნიათ, ამ აპარატის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მისი ამბლიოტერული სიწმინდე, ის არასოდეს არ გახდება ავადმყოფობის და სიბნძურის წყაროთ, როგორც სხვა ფილტრები. რათა შენობების ვენტილიაციის დროს ზედმეტი მუშაობით აპარატი არ გაფუჭდეს, მას უკეთებენ ჩვეულებრივ მექანიკურ ფილტრს.

ნაშენები ავიატორებისათვის ღამით ფრენის დროს.

შეერთებული შტატების საფოსტო უწყებას განზრახავა ქონდა შემოელო ღამით ფოსტის გადატანა ჰაეროპლანების საშუალებით, მაგრამ საფოსტო უწყებას აფიქრებდა აეროპლანების დასაშვები ადგილების ხელოვნურად განათების პრობლემა. ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ძლიერი ელექტრონული განათების მოწყობა ას-ასი მილის მანძილზე, იმ გზით, რომელიც უნდა გაიაროს საჰაერო ღამის ფოსტამ. ასეთ სანიშნო აპარატს უჭვენებდენ ამ რამდენიმე ხნის წინათ ბრაიტონში, ოგიოს შტატში. ამ აპარატის სიძლიერე უდრის—300 მილიონი სანთლის ძალას. ამ აპარატის განათების საშუალებით ავიატორს, რომელსაც ღამით გადააქვს ფოსტა, 75—100 მილის მანძილზე შეუძლია გამოარჩიოს დასაშვები ადგილი ასეთი სანიშნო სინათლით სარგებლობდენ წინეთაც ზღვაში, მაგრამ ახლა დაისვა საკითხი, თუ როგორ გამოეყენებინათ ის ღამით ფრენის გასაადვილებლად.

ᲣᲬᲐᲠᲛᲐᲖᲐᲜᲘ ᲐᲔᲠᲝ-ᲒᲕᲘᲠᲐᲒᲘ.

პარიზის ახლო, ისსილო-მულინოში, ფრანგმა ინჟენერებმა ააგეს უზარმაზარი ჰაერო-დინამიური ანუ ქარის გვირაბი აეროპლანების მოდელების და აეროპლანების ნაწილების გამოსაცდელად. გვირაბს უჭირავს მთელი შენობა და მისი სიგრძე უდრის 110 ფუტს (თითქმის 15 საჟენს). გვირაბის წინა ნაწილის დიამეტრი უდრის 8 ფუტს და მოგვაგონებს უზარმაზარი გრამაფონის მილს. ამ მილს უკან არის ოთახი, სადაც 1 წარმოების გამოცდები. აქვეა მოთავსებული მრავალრიცხოვანი ხელსაწყოები ჰაერის მოძრაობის სისწრაფის, დაწოლის და ამწევი ალის გასაზომავთ და სხვა. გვირაბში მოწყობილ სხვადასხვა ტეხნიკური საშუალებების წყალობით შეიძლება მეტად ზედმიწევნით გამოკვლევა იმის, თუ რამდენათ ვარგისია ესა თუ ის საფრენი აპარატი ან მისი ნაწილები.

საცდელ ოთახს იქით იწყება გრძელი გვირაბი, რომლის დიამეტრი უდრის 10 ფუტს. გვირაბის ბოლოს გაკეთებული არის უზარმაზარი მარაო, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ელექტრო-მამოძრავებელს, ჰაერის ნაკადის მაქსიმუმი სისწრაფე უდრის 240 ფუტს წუთში, მაგრამ ჩვეულებრივად ცხდებს ახდენენ უფრო ნაკლები სისწრაფის დროს. სისწრაფეს აწესრიგებს ელექტრო-მამოძრავებელი. ჰაერის მარაოს დიამეტრი უდრის 20 ფუტს. ეს აეროდინამიკა გაკეთებულია ცნობილი ინჟენერის გუსტავ ეიფელის გეგმით.

კიდევ ერთი ელექტრონის ავტომატი.

„დეილი ნიუზ“-ი იტყობინება კიდევ უფრო გაუმჯობესებულ ავტომატზე, ვიდრე ფოტოგრაფიული აპარატი. ეს საფირი მანქანაა, რომლისთვისაც საქირო არ არის მემანქანე, საჭიროა მხოლოდ იმის ხმა, ვისაც სურს მასზე ბეჭდვა. ამ მანქანის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: მოკარნახე ლაპარაკობს სპეციალურათ მოწყობილ მიკროფონზე, რომელშიაც თვითეული ხმის ტალღა იწვევს სათანადო ცვალებად ნაკადს. მთელი მანქანის წონა უდრის 30 კილოგრამს, ის მოძრაობაში მოყავს ცხენის ძალის ერთ მეთექვსმეტედის მქონე ელექტრომოტორს.

„დეილი ნიუზ“-ის ენენველ კორესპონდენტის წერილის თანახმად, ამ მანქანის გამოგონებლათ ითვლება შვეიცარიელი მარტინ ბანდლი; ეს მანქანა იმდენათ გაუმჯობესებულია, რომ შეუძლია ერთი წუთის განმავლობაში ჩასწეროს 90—100 სიტყვა.

მთავარი სიძნელე — ეუბნებოდა ბანდლი გაზ. კორესპონდენტს, მდგომარეობდა ორფოგრაფიის სისწორეში და ავრედვე რიცხვების ციფრებით გამოხატულებაში. მაგრამ, „დეილი ნიუზ“ ის სიტყვების თანახმად, გამომგონებელი აცხადებს, რომ მან გადალახა ეს დაბრკოლებანი: ის ავტომატიურ კორექტივისათვის ხმარობს პაუზებს, რომელნიც გრძელდებიან ერთ მეათედ წამს ორ სიტყვასა ან მარცვალს შორის.

თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ ამ გამოგონების შესახებ ჩვენ გავიგონებთ კიდევ და, ალბათ, უფრო დაწვრილებით.

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ

— მიწის ძვრა. გუშინ, 12 დეკემბერს, დილის 6 საათზე და 37 წუთზე საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია ადგილობრივი მიწის ძვრა 2—3 ბალის სიძლიერით. მიმართულება გორისაკენ.

— სახელმწიფო-სამეურნეო მუზეუმი. მიწად. მოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა დაარსოს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი. მუზეუმში მოთავსებული იქნება სასოფლო-სამეურნეო დარგის ყველა საყურადღებო საგნები.

ბათ და ამით არ აიძულებდენ კეთილსინდისიერ და დისციპლინის მოყვარულ პარტიის წევრებს, წავიდენ კარჩაკეტილობის და ფრაქციულობის გზით.

პარტია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულებათ ან უწყებათ; მაგრამ ის არ შეიძლება ჩაითვალოს არც სადისციპლინო კლუბათ ყველასათვის და ყოველგვარი მიმართულებებისათვის. 10-ე თე ყრილობამ გამოიმუშავა მუშური დემოკრატიის პრინციპები, მაგრამ, შემდეგ კი მეთერთმეტე და მეთორმეტე ყრილობებმა, გამოიმუშავეს მთელი რიგი შეზღუდვებისა მუშური დემოკრატიის საფუძვლების გამოყენების საქმეში: ფრაქციების აკრძალვა (იხ. მეათე ყრილობის რეზოლიუცია „პარტიის მთლიანობის შესახებ“ და მეთერთმეტე ყრილობის სათანადო რეზოლიუცია); პარტიის გაწმენდა; არაპროლეტარული ელემენტებისათვის პარტიაში მიღების შეზღუდვა; პარტსტატიის შემოღება პარტიის თანამდებობის პირთა ზოგიერთი კატეგორიებისათვის; მდივნების უმაღლესი პარტიული ინსტანციების მიერ დამტკიცება (იხ. ჩვენი პარტიის წესდება). აუცილებელია რა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ზოგიერთ შეზღუდვების მომავალშიც შენარჩუნება, ამავე დროს საჭიროა, უკვე მიღებული გამოცდილების ნიადაგზე ზოგიერთ ამ შეზღუდვათა მიზანშეწონილობის შემოწმება, მაგალითად მდივნების პარტიის უმაღლესი ინსტანციების მისი დამტკიცების უფლება. ყოველშემთხვევაში, მდივნების დამტკიცების უფლება არ შეიძლება გადაქცეული იქნეს მათ ფაქტიურად დანიშვნის უფლებათ.

4. ᲐᲮᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲜᲘᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ.

პარტიული ხაზის გადამახინჯებასთან ბრძოლის, მუშური დემოკრატიის ნამდვილათ გატარების და პარტიის წევრების მთელი მასისათვის პარტიულ პოლიტიკაზე სისტემატიური გავლენის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ცხოვრებაში პირველ ყოვლისა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ა) თვალყურის დევნება თანამდებობის პირთა არჩევნების წესის მტკიცედ გატარებისათვის, იმ შეზღუდვით, რომლებიც ნაჩვენებია ზევით; დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს ამ პირების თავზე მოხვევა ორგანიზაციების გარეშე, კერძოთ კი საჭიროა ყურადღებით თვალყურის დევნება უჯრედების მდივნების არჩევის წესის გატარებისათვის;

ბ.) პარტიული პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი საკითხები, რამდენადაც ამის ხელს არ უშლიან რაიმე განსაკუთრებული მიზეზები, აუცილებლად უნდა დაისვას განსახილველათ პარტიული მასის და უჯრედების მიერ მთლიანად; არ მიმართონ შეუცდარ დაყრდნობას „პარტიულ დისციპლინაზე“, როცა საქმე ეხება პარტიის წევრების იმ საკითხების განხილვაში და მათ შესახებ დადგენილებების გამოტანაში მონაწილეობის მიღებას, რომლებიც მათ აინტერესებენ.

გ) ყურადღება უნდა მიექცეს მუშაკების ქვევიდან, პირველ რიგში მუშების წრიდან წამოყენებას;

დ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორი პარტიული პოლიტიკის შეთვისებას. იმ ამხანაგების ყადრის მიერ, რომლებიც ყველაზე ახლო დგანან პარტიულ მასასთან;

ე) პრაქტიკაში უნდა იქნეს შემოღებული პარტიული ორგანოების მიერ ანგარიშების სავალდებულო მიცემა კოლექტივებისა და ფართე პარტიული მასისათვის, რომლებმაც ისინი აირჩია;

ვ) გაძლიერებული უნდა იქნას პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა, ყოველნაირად უნდა იქნას აცილებული მისი „მოხელეური“ დაყენება, როგორც მთელ პარტიულ მასაში, ისე კომკავშირის წევრებსა და ქალთა შორის;

თ) ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა დარგის მუშაკების მიერ ურთიერთისათვის გამოცდილების გაზიარებას; როგორც ც. კომიტეტთან ისე საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებთან აუცილებლად უნდა მოეწყოს ყველ

ეუბნოთ ცხოვრებას

საჭიროა მეტი ზრდილობიანი და თავაზიანი მოქცევა ხალხისადმი.

(რკინის გზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე რკინის გზის მატარებლების კონტროლიორების უხეში მოქცევა მგზავრებისადმი. არა ერთხელ ყოფილან უკანასკნელნი შენიშნული მგზავრებისადმი ვეულურ მოქცევაში და ლაპარაკში. ამას ბოლო უნდა მოეღოს, თორემ მათი თავგასულობა საზღვარს სცილდება. ა. წ. 26 ნოემბერს ტფილისში მოდიოდა ბაქოდან მატარებელი № 22. სად. ალსტაფას აქეთ მატარებელში ავიდა მოხუცი მუშა და რადგანაც ხალხი ბლომად იყო, ის შეცდომით მიადგა კონტროლიორის განყოფილებას, რათა დაჯდარიყო სკამეიკაზე. აქ მეც დიდურად მატარებლის კონტროლიორმა, რომელსაც სამი ვიღაც ქალი ახლდა თან, ეჭყვირა მას: „უბერიტეს ოტსიდა“-ო და ფბრძანა კონდუქტორს: „წინადადებას გაძლევთ, აქედან ეს ვიღაცა გაათრიეთ“-ო. საწყალი მგზავრი მუშა იძულებული იყო გაეთავისუფლებინა ალაგი და მოშორებულიყო ბრაზმოსულ და უზრდელ მოხელეს. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გზაზე ხშირია ლვინის სხვა შიგ მატარებელნი; სვამენ თვით ლვინით გალეშილი კონდუქტორები, რომელთაც აბარიათ ვაგონი და წესიერება. ამ სძაგელ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს თავგასულ კოხტროლიორებს კი უნდა წინადადება მიეცეს ზრდილობიანად ილაპარაკონ და მოიქცნენ მგზავრებს, თორემ მათ ალაგმვა დასჭირდებათ.

მუშკორი მელითონე.

—

მუშათა თეატრის დღესასწაული.

9 დეკემბერს დიდის ამბით იქნა გადახდილი სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე.

ამ დღეს სახალხო თეატრი მორთული იყო მწვანე გრილიანდებით, გამოფენილი იყო თეატრის დარბაზში სახალხო სცენის მოღვაწეთა სურათები.

დღესასწაულმა დიდძალი საზოგადოება და განსაკუთრებით მშრომელი ხალხი მიიზიდა. ზეიმი გახსნა პროფკავშირების თავმჯდომარემ ამხ. ყურულაშვილმა, შემდეგ სახ. თეატრის შეესალმა მხცოვანი რევოლიუციონერი ამხ. მიხა ცხაკაია და აღუთქვა მთავრობის დახმარება.

ამის შემდეგ დაიწყო თითო მოქმედება ყველა იმ პიესებისა, რომელიც კი პირველად წარმოუდგენიათ სახალხო სცენაზე ოცდაათიან წლებში.

აგრეთვე დაიწყო მილოცვები სხვადასხვა დაწესებულებათაგან. იყო აგრეთვე მისალოცი დეპეშები სხვადასხვა კუთხიდან და მოსკოვიდანაც. სახალხო თეატრს მიესალმა აგრეთვე გაზ. „კომუნისტი“ს მუშკორთა დელეგაცია, რომელთა სახელით მიმართა სიტყვით შუშა-მგოსანმა გ. ხეჩუაშვილმა, რომელმაც მკაფიოდ აღნიშნა სახალხო სახლის 30 წლის ნაყოფიერი შრომა ჩვენი ერის კულტურულ ამაღლებისა და მშრომელი ხალხის წინსვლელობისათვის. სახალხო თეატრი 30 წლის განმავლობაში ერთად-ერთი კერა იყო, სადაც შეეძლო მუშაობით მოღლილ-მოქანცულ მუშას დაესვენა სულიერად გამხნევებულიყო მომავლის იმედებით.

სახალხო თეატრი გვასწავლიდა 30 წლის განმავლობაში ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც საუკუნის განმავლობაში გვმოჭავდა სულიერად და არ გვაძლევდა ნებას თავისუფალ განვითარებისას. დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი თავისუფალი და სწრაფი ნაბიჯით მიექანება განვითარებისაკენ. ეს კი შედეგი სახალხო თეატრის აღმზრდელობისა.

ზეიმი დამთავრდა ღამის 3 საათზე.

ზეიმის შემდეგ თეატრის დარბაზში გაიმართა ნადიმი სახალხო სცენის მუშაკთა და საპატიო სტუმართა და დელეგატთა საპატივსაცემოდ, რომლის დროსაც წარმოითქვა საგულისხმო სიტყვები. ნადიმმა გასტანა დილამდის.

მუშკორი პ. ახალკაცი.

—

რკინისგზის აბანო.

ტფილისის კვანძის რკინისგზის აბანოს მოსამსახურეებს უხდებათ თითქმის სულ წყალში სიარული. ფეხშიშველა სიარული მათი ცემენტის იატაკზე სახიფათოა მათი ჯანმრთელობისთვის. მათ არა აქვთ ისეთი ფეხსაცმელები, რომ ამ სამუშაოში გამოიყენონ. უკანონო არ იქნება, რომ საუბნო პროფკავშირმა შეიძინოს მათთვის ისეთი ფეხსაცმელები, რომლებიც მათ გამოადგებათ ასეთ მძიმე სამუშაოში.

მუშკორი „ეკ“.

მუშათა წერილებიდან

ვინდა ვიცი ვიცოდე, ეს ასეა თუ არა.

(ჯანმრთელობის კომისარიატის საყურადღებოდ.)

მე მეორის ძალიან მძიმე შინაგანი ავადმყოფობა, რის გამო მივმართე რაიონულ ექიმს. ამ უკანასკნელმა როგორც საბჭოთა მოსამსახურეს, პროფკავშირის წევრს და დაზღვეულს, გამომიწერა რეცეპტი უფასო წამლების მისაღებად საბჭოთა აფთიაქებიდან.

აღნიშნული რეცეპტით წამლის მისაღებად მე მივმართე აფთიაქებს, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, „უფასო წამალი“ ვეღარ მივიღე. აფთიაქებს ახსნა-განმარტებებიდან კი პირველად გავიგე, რომ „მძიმე ავადმყოფობას სჭირდება ძვირი წამლები—და ძვირფასი წამლების უფასოდ გაცემა კი აღკრძალულია“-ო.

იაფი წამლის ყიდვას ასე თუ ისე შევიძლებდი ჩემი მცირე ხელფასით, ძვირი წამლების ყიდვა მე ვერ შევძელი და რეცეპტი ხელში დამრჩა; ავადმყოფობა მირთულდება და ლამის არის ცხოვრებასაც გამომასალმოს.

მინდა მაინც ვიცოდე, შეიცავს თუ არა სინამდვილეს ის განცხადება, რომ მძიმე ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ არ ეკუთნის „ძვირფასი წამლებით“ უფასოდ სარგებლობა. და ეს თუ მართლაც ასე არის, უქეთეს და ათჯერ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მარტო „ძვირფასიანი“ წამლების გაცემა ხდებოდეს უფასოდ, რადგანაც მათი შეძენა უსაღსრობის გამო შეუძლებელი ხდება ჩვენთვის, იაფფასიან წამლების შეძენას ჩვენც მოვახერხებთ ჩვენიდე მცირე ხელფასით.

ავადმყოფი მუშა-ქალი.

—

საუცხოვო კანცელიარია. (?.)

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

ქალ. აღმასკომში არის ერთი უზარმაზარი განყოფილება სახელდობრ „უნიო“ (უძრავ ქონებათა სამმართველო), რომელსაც უპირავს უზარმაზარი მაგიდებით გაჭედილი ოთახები. აქ ყოველ მაგიდაზე ზის თითო თანამშრომელთ, რომელიც ერთი შეხედვით საქმის მოყვარე მოხელედ მოგეჩვენება, მაგრამ ფაქტიურად ამ საქმიანობას აქ იშვიათად აქვს ადგილი. მაგ.—განყოფილების გამგის რეზოლიუციით მათთვის გადმოცემულ ქაღალდს თითქმის 3 დღე სჭირდება, რომ ის სისრულეში მოყვანილ იქნას, ვინაიდან ეს ქაღალდი დადის მაგიდიდან მაგიდამდე, რამოდენიმე დღის განმავლობაში. საჭიროა აქ ზრომის დისციპლინის და უნარიანობის შემოღება.

მუშკორი ქვედაშვილი.

—

ბლეხანოვის სახელობის თეატრი

ამ ბოლო დროს აქ ხშირი შემთხვევაა საღამოების და წარმოდგენების გადადებისა: არის ამგვარი შემთხვევები, როდესაც საზოგადოება უკვე მოსულია წარმოდგენის საყურებლად, ბილეთები ყველას დინდაწინვე შეძენილი აქვთ და რამოდენიმე საათის ცდის შემდეგ მათ უცხადებენ, რომ საღამო, ან წარმოდგენა გადადებულიაო. ამის გამო სრულიად უნაყოფოდ მუშებს ორი ვერსის და მეტის გავლაც უხდებად მუშურ რაიონში, იქ, სადაც ყოველი მუშას დრო განაწილებული აქვს სხვადასხვა საქმისთვის. ეს მოვლენა ყოველთ დაუშვებელია. კარგი იქნებოდა, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ თეატრის მესვეურნი და მომავალში მაინც გამოასწორებდნენ ამ ნაკლს.

მუშკორი ვ.

—

მუშათა ქრონიკა.

მანუფაქტურა მუშებს. ამ დღეებში რკინის გზის სამმართველომ გადასცა მანუფაქტურა საუბნო პროფკავშირს, რომელმაც უნდა გაანაწილოს მუშა-მოსამსახურეებზე 6 სატარიფო ხარისხამდე.

— **რკინისგზელთა ნისიობა.** რკინისგზის ცენტრალურმა კავშირმა დაადგინა მიეცეს სამი თვით სესხის სახით 6 სატარიფო ხარისხამდე ყველა მუშა-მოსამსახურეებს „ზაკტპო“-დან სხვადასხვა საქონელი. არა უმეტესი სამ ჩერვონცის ღირებულებისა.

— **წარმოდგენა მუშებისათვის ბლეხანოვის თეატრში.** კვირას, 9 დეკემბერს, ადგილობრივ დასის მიერ დადგმული იყო დრამა 5 მოქ. „ბარნ ჯორჯიაშვილი“. პიესა მეტად საინტერესოა და მუშებიც ბლომად დაესწრენ. მოთამაშეები კარგათ ასრულებდენ როლებს. წარმოდგენა გათავდა საღამოს 11 საათზე. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

მუშკორი „ეკ“.

— **ქართული ენის კურსები მუშა-მოსამსახურეთათვის.** ჯანმრთელობის კომისარიატის მუშა-თანამშრომელთა შორის ქართული ენის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ ადგილკომის მიერ გაიხსნა ქართული ენის კურსები. ნ.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

11 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიუსი): ფოთში.... 9 გრ., ბათომში... 14 გ., სამტრედიაში.... 9 გრ., ჭიათურაში. 5 გრ., წიფაში.... 1 გრ., ბორჯომში.... 2 გრ., სურამში.... 0 გ., ტფილისში.... 1 გ., ერევანში.... 1 გრ., მუკუზანში... 2 გრ. ბაქოში.... 10 გრ., (აჯამეთიდან ცნობები არ არის მიღებული).

ღრუბლიანობა: მუკუზანში—სულ მცირე, დანარჩენ ადგილებში—სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ — აღმოსავლეთის, მსუბუქი; ბათომში—სამხრეთ-აღმოსავლეთის, მსუბუქი; სამტრედიაში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, გრიგალი. წიფაში — ჩრდილოეთ-ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი: ბაქოში—სამხრეთ-დასავლეთის, ნელი. დანარჩენებში სიწყნარეა.

ნალექი: სულ მცირე (წვიმა) ბათომში და ბაქოში.

ზღვის მდგომარეობა ბაქოს ნავსადგურში: ფოთზე ... ქოში—მსუბუქი ღელვა.

ამინდი საქართველოში:

ცვალებადი ღრუბლიანობა, დასავლეთ საქართველოში ალაგ-ალაგ უმნიშვნელო ნალექი. მდრეროინის ხეობაში ძლიერი ქარი აღმოსავლეთ საქართველოში უნავს.

ჩრდილოეთ-კავკასიაში

(11 დეკემბერი, დილის 7 საათი).

კავკაზი: ტემპერატურა... 0 გრ., ღრუბლიანობა—სულ მცირე, ქარი—სამხრეთ სამხრეთ-დასავლეთის, ნელი, დღით ძლიერი ქარი.

კაზბეკი. ტემპერატურა... 1 გრ., მოღრუბლულია, ქარი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი.

ტფილისი

12 დეკემბერი, დილის 1 საათი.

ტემპერატურა: 6 გრ.

ღრუბლიანობა: 10

ქარი არ ქრის.

რუსთაველის თეატრი

ძართ. აკად. დრამა

დღეს, 13 დეკემბერს

ოტელო

ნის. 772—3—3

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 13 დეკემბერს

ტოსკა

პარასკევს, 14 დეკემბერს **ბალეტი**

1. კოპელიუსის დიდოფალა
2. ლისტის პრელიუდიები

შაბათს, 15 დეკემ. პროფკავშირებისათვის

მეფის საცოლე

კვირას—თავადი იბოკი

ნის. 773—5—2

პარტიული და საგზიოთა კალენდარი

პარტიული

კომუნისტ-სტუდენტებს

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა კომუნისტ-სტუდენტებს, რომელნიც ითვლებიან უმაღლეს სასწავლებლებისა და მუშფაკების (სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსულ და ქართულ მუშფაკების) მსმენელებად და იმყოფებიან ამ ჟამად უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების გარეშე, მოიხსნან ანგარიშიდან თავის უჯრედებში და გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში სათანადო უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებთან მისამაგრებლათ.

პარტიის წევრები, უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები, რომელნიც ითვლებიან მეორე და მეოთხე რაიონის უჯრედებში, გადაეგვანილი არიან უშუალოთ უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებში თავიანთ რაიკომების საშუალებით.

საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე **კარაპეტოვი.**

— **აღწერისათვის.** თანახმად რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულიარისა № 9 პარტიის იმ წევრების შესახებ, რომელთაც არ გაუვლიათ პარტიული აღწერა

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია

წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, **რომელთაც არ გაუვლიათ აღწერა,** გაიარონ.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ს. ხანოიანი.

— კვირას, 16 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ს. კ. პ. ც. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში

დანიშნულია სხდომა უმაღლესი სკოლის რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად.

მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: მარიამ ორახელაშვილი, ს. ტაკოევი, ისიდორე თალაქვაძე, თათარიშვილი, ბუაჩიძე, დუდუჩავა, სოლოვიანი, ა. ნოვიკოვი, მ. ესსეი, დუბეფსკი, ხაპაპორიძე, იობიძე, შავერდოვა, მეგანაძე, ნუცუბიძე, მეგრელიძე და მიქელიანი. აგრეთვე ფაკულტეტების უჯრედთა მდივნები, სტუდენტების კომიტეტთა თავმჯდომარენი და სტუდენტთა ცენტრალური ბიურო.

ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **კვირიკაძე.**

განცხადებები

საახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს საზოგადოებას იშვიათ ენერგიით და პატიოსნებით აღჭურვილი თანამშრომლის, მოლითის ხე-ტყის დასამზადებელ რაიონის გამგის

გიორგი პავლეს-ძე თოდრიას

უდროოდ გარდაცვალებას. 1—1

საახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბატუმის პრეზიდიუმი ამით აუწყებს საზოგადოებას მოლითის ხე-ტყის დასამზადებელ რაიონის გამგის

გიორგი პავლესძე თოდრიას

უდროოთ გარდაცვალებას.

ბარრაბა და ტიბოხი ბართლომეს ძენი ეეიზვილები, ათინა ბართლომეს ასული მეზუკისა და ფაკიკო ბართლომეს ასული კალანდარიშვილისა აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილის **მედიცინის დოქტორის და ფარმაციის მაგისტრის პროფესორი**

პარმენ ივანეს ძე ჭეიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქალაქ ხარკოვში 9 დეკემბერს. № 270 2—1

ლიუბა ქანი, ოტა ნაკაშიძე, ბაში ძირიანაშვილი და ელენე გელოვანი თავიანთ ქმრებით და დისწულებით: რუსა, თინა, ლილი, ლუბა, ლერო, გიგა, მატუ და გოგო აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 11 დეკემბერს ხახმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და ხოლო უკანასკნელების დიდი

ეპატერინე (კატო) ფარსადანასასიანის ასული

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია 15 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზედ. პანაშვიდი 12, 13 და 14—საღამოს 6 საათზე. ვერა, მატინოვის ქუჩა № 12. № 269 1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **ანტონინი დარბაზობა**

მიხეილ გედევანიშვილის

ნებაყოფლობითი ბინებიდან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ ... ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო **საწარმოებს ექ. სერგეს ციფოვის** ... ლობილ. ტფილისი, **გორგანოვის ქ. № 20.** (126—25—1)

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის წევრობის წიგნაკი, გაცემული ეკატერინე დავითის ასულის ლორთქიფანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პასპორტი № 428. გერვანდ ატომიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 272 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 166, მოცემული ტფილისის რკინისგზის დეპოს უფროსისგან ნიკოლოზ დავითის ძე გრატიაშვილის სახელზე. გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულად. 1—1 № 268.

დავკარგე ლვინის გადასატანი მოწმობა, მოცემული შორაპნის მაზრის აქციზის ინსპექტორისაგან 15 აგვისტ. 1923 წ. № 20,919 და 6 ივლისიდან 1923 წ. № 4448, პირველი 56 ვედრ.—ლვინოზე და მეორე 100 ვედროზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 273 1—1

დავკარგე სარეგისტრაციო ბილეთი და პირადობის მოწმობა № 82 ნიკო კიკნაველიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 274

დავკარგე პასპორტი იულია არსენის ასული კობახიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 25

11 დეკემბერს სადამოს 6 ნახ. საათზე სამთო-მადნო ამხანაგობის კანტორის

გაძარცვის დროს ბოროტმოქმედებამ წაიღეს 14,400 გირ. სტერლინგი საზ. „ჩემო“-ს ჩეკებით კონსტანტინოპოლის ბანკზე.

სახელდობრ შემდეგი ნომრები:

№ 2432	გირ.	50.—.—	№ 3734	გირ.	100.—.—	№ 3702	გირ.	200.—.—
„ 2433	„	50.—.—	„ 3735	„	100.—.—	„ 4043	„	200.—.—
„ 2434	„	50.—.—	„ 3736	„	100.—.—	„ 4044	„	200.—.—
„ 3709	„	100.—.—	„ 3737	„	100.—.—	„ 4045	„	200.—.—
„ 3710	„	100.—.—	„ 3738	„	100.—.—	„ 4046	„	200.—.—
„ 3711	„	100.—.—	„ 3739	„	100.—.—	„ 4047	„	200.—.—
„ 3712	„	100.—.—	„ 3740	„	100.—.—	„ 4048	„	200.—.—
„ 3713	„	100.—.—	„ 3741	„	100.—.—	„ 4049	„	200.—.—
„ 3714	„	100.—.—	„ 3742	„	100.—.—	„ 4050	„	200.—.—
„ 3715	„	100.—.—	„ 3832	„	100.—.—	„ 4051	„	200.—.—
„ 3716	„	100.—.—	„ 3833	„	100.—.—	„ 4052	„	200.—.—
„ 3717	„	100.—.—	„ 3834	„	100.—.—	„ 4053	„	200.—.—
„ 3718	„	100.—.—	„ 3835	„	100.—.—	„ 4054	„	200.—.—
„ 3719	„	100.—.—	„ 3934	„	100.—.—	„ 4055	„	200.—.—
„ 3720	„	100.—.—	„ 4063	„	100.—.—	„ 4056	„	200.—.—
„ 3721	„	100.—.—	„ 4064	„	100.—.—	„ 4057	„	200.—.—
„ 3722	„	100.—.—	„ 4065	„	100.—.—	„ 4058	„	200.—.—
„ 3723	„	100.—.—	„ 4066	„	100.—.—	„ 4059	„	200.—.—
„ 3724	„	100.—.—	„ 4067	„	100.—.—	„ 4060	„	200.—.—
„ 3725	„	100.—.—	„ 4068	„	100.—.—	„ 4061	„	200.—.—
„ 3726	„	100.—.—	„ 4069	„	100.—.—	„ 4062	„	200.—.—
„ 3727	„	100.—.—	„ 4070	„	100.—.—	„ 4187	„	200.—.—
„ 3728	„	100.—.—	„ 4071	„	100.—.—	„ 4188	„	200.—.—
„ 3729	„	100.—.—	„ 4072	„	100.—.—	„ 4189	„	200.—.—
„ 3730	„	100.—.—	„ 4073	„	100.—.—	„ 4190	„	200.—.—
„ 3731	„	100.—.—	„ 4074	„	100.—.—	„ 4191	„	200.—.—
„ 3732	„	100.—.—	„ 4075	„	150.—.—	„ 4109	„	1000.—.—
„ 3733	„	100.—.—	Cc „ 19024	„	170.10/6	„ 4330	„	1000.—.—
			„ 3228	„	113.9/—	„ 4331	„	1000.—.—
			„ 3513	„	75.—.—			
			„ 4092	„	41.6/6			
			„ 3700	„	200.—.—			
			„ 3701	„	200.—.—			